



With the support of the
Erasmus+ Programme
of the European Union



კავკასიის სამართლის სკოლა
CAUCASUS SCHOOL OF LAW



კავკასიის უნივერსიტეტი
CAUCASUS UNIVERSITY



ევროკავშირი, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული
საერთაშორისო სუბიექტი
(ტრენინგის მოდული)

გურანდა ჭელიძე

Project N° 619948-EPP-1-2020-1-GE-EPPJMO-PROJECT

2021

@კავკასიის უნივერსიტეტი
@ავტორი

ტრენერი და ტრენინგის “ევროკავშირი, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტი” ავტორი - გურანდა ჭელიძე

გურანდა ჭელიძე - ისტორიის აკადემიური დოქტორი, ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის სპეციალისტი.

აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა - 27 წელი უმაღლეს სასწავლებლებსა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში

✓ ლექციები: ევროპის ახალი დროის ისტორია, ევროპის თანამედროვე ისტორია, ევროკავშირის გაფართოება აღმოსავლეთით, რეგიონმცოდნეობის შესავალი;

✓ 37 სამეცნიერო სტატია და სახელმძღვანელო: გამოცემულია საქართველოში და საზღვარგარეთ.

მიმდინარე საქმიანობა

კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის აფილირებული პროფესორი; კავკასიის უნივერსიტეტის ევროპისმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი; ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერი; Erasmus+ Jean Monnet Activities პროექტების ფარგლებში კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის „ევროპული სწავლების სამკუთხედი“ (TEESS) კოორდინატორი, სამართლის სკოლის პროექტის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე (LFEU) ექსპერტი.

gchelidze@cu.edu.ge

სარჩევი

1. ტრენინგის მიზანი	3
2. ტრენინგის ამოცანები.....	3
3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი	3
4. ტრენინგის ხანგრძლივობა	4
5. სამიზნე ჯგუფი.....	4
6. ტრენინგის მასალები	4
7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოჯისტიკური მხარე.....	4
8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა.....	5
9. ტრენინგის შინაარსი:.....	5
9.1 საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა და რეგიონალური ინტეგრაციის საკითხი	5
9.2 ევროკავშირის დაფუძნება და მისი მთავარი მიზანი.....	6
9.3 თვალსაზრისები ევროკავშირის რაობის შესახებ.....	7
9.4 ევროკავშირის თავისებურებანი - უმთავრესი შეთანხმებების არსი.....	8
9.5 წყაროები	12

1. ტრენინგის მიზანი

ტრენინგი ხორციელდება ტრენინგი ხორციელდება ევროკომისიის დაფინანსებით Erasmus + პროგრამის Jean Monnet Project-ის „ევროკავშირის სამართლებრივი სახე“ (LFEU) ფარგლებში. ამ პროექტის ერთ-ერთი მიზანია ტრენინგების ციკლის ორგანიზება კავკასიის უნივერსიტეტში სამართლის სხვადასხვა მიმართულებით. ტრენინგების ფარგლებში შესავალ ნაწილად განისაზღვრა აუდიტორიის ინფორმირება ევროკავშირის შესახებ.

ტრენინგის „ევროკავშირი, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის დახასიათება“ მიზანია ევროკავშირის, როგორც ინსტიტუციონალური სტრუქტურითა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურებით გამორჩეული ზესახელმწიფოებრივი გაერთიანების შესახებ ცოდნის გავრცელება.

2. ტრენინგის ამოცანები

ტრენინგის ამოცანებია:

- საერთაშორისო თანამშრომლობისა და რეგიონალური ინტეგრაციის აუცილებლობის შესახებ მსმენელთა ცნობიერების ამაღლება;
- ევროკავშირის მიზნებისა და მისი როგორც პოლიტიკური და ეკონომიკური გაერთიანების შესახებ ცოდნის დაგროვება;
- ცოდნის გაღრმავება ევროკავშირის უმთავრესი შეთანხმებების შესახებ, რაც განაპირობებს მის ზესახელმწიფოებრივ და განსაკუთრებულ ხასიათს.

3. ტრენინგის ჩატარების მეთოდი

ტრენინგის ფარგლებში მისი რეგლამენტიდან გამომდინარე ტრენერი თეორიული მსჯელობის სახით წარადგენს განსახილველ საკითხებს;

ტრენერი გამოიყენებს პრეზენტაციის მეთოდს;

ტრენინგის მსვლელობისას უზრუნველყოფილი იქნება მონაწილეთა ჩართულობა (კომენტარის, დამაზუსტებელი შეკითხვებისა და შეფასებითი მოსაზრებების წარმოდგენის სახით).

ტრენინგის დასრულებისას პასუხი გაეცემა მსმენელთა მხრიდან დასმულ შეკითხვებს.

4. ტრენინგის ხანგრძლივობა

ტრენინგი “ევროკავშირი, როგორც ზენაციონალური და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტი” ითვალისწინებს პროექტის ფარგლებში დაგეგმილი თითოეული მოდულის შესავალ ნაწილში მუშაობას. თითოეული მოდულის ფარგლებში მას დაეთმობა 20 წთ.

5. სამიზნე ჯგუფი

ტრენინგის სამიზნე ჯგუფია პროფესიული საზოგადოება, კერძოდ, საჯარო მოხელეები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები (განსაკუთრებით სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტები), დაწესებულებების ადმინისტრაციული პერსონალი - იურისტები, ბიზნესის წარმომადგენლები და სხვა.

ტრენინგის შესახებ კავკასიის უნივერსიტეტის ტრენინგ ცენტრი წინასწარ აცხადებს ინფორმაციას და აყალიბებს მონაწილეთა სიას.

ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა - 45 პირი.

ტრენინგი უფასოა.

6. ტრენინგის მასალები

ტრენინგის მასალას წარმოადგენს ტრენერის პრეზენტაცია. საჭიროების შემთხვევაში მსმენელებს მიეწოდებათ ჰენდაუთები.

7. ტრენინგის ტექნიკურ-ლოჯისტიკური მხარე

უზრუნველყოფილი იქნება პრეზენტაციის ვიზუალიზაცია, კერძოდ, პრეზენტაციების ჩვენება ეკრანზე.

უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მონაწილის სახელისა და დასაქმების ადგილის დემონსტრირება (ფურცელი მაგიდაზე).

8. ტრენინგის დაწყება, მსვლელობა და პროცედურა

ტრენინგის გახსნა განხორციელდება ტრენერის მიერ, რომელიც მოკლედ მიაწოდებს შემდეგ ინფორმაციას მონაწილეებს:

- *Jean Monnet Project-ის შესახებ*
- *ტრენინგის მიზნებისა და ამოცანების შესახებ.*
- *ტრენინგის დღის წესრიგი და მოდულის ფარგლებში განსახილველი საკითხები*
- *ინფორმაცია ტრენერის შესახებ.*

9. ტრენინგის შინაარსი:

9.1 საერთაშორისო თანამშრომლობის აუცილებლობა და რეგიონალური ინტეგრაციის საკითხი

მეორე მსოფლიო ომის შედეგებმა დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოთა თანამშრომლობის საკითხი. თანამშრომლობის მოტივები განსხვავებული იყო და არის. სახელმწიფოები თანამშრომლობენ მშვიდობის ხელშეწყობის, ვაჭრობის წახალისების, რესურსების განაწილების, აზრთა გაზიარების, ისეთ პრობლემებთან ერთობლივად გამკლავების მიზნით, როგორებიცაა: უკანონო იმიგრაცია, გარემოს დაბინძურება, ტრანსსასაზღვრო დანაშაული, ტერორიზმი და საფინანსო რეგულაციები. საქმიანობა მთავრობათა შორის ბილატერალური და მულტილატერალური კონტრაქტებით ხორციელდება; თუმცა ზოგჯერ სახელმწიფოებისთვის უფრო მოსახერხებელია საერთაშორისო ორგანიზაციების შექმნა. ორგანიზაციებს ჰყავთ მუდმივი კადრები, რომლებიც ხელმძღვანელობენ ერთობლივ პროგრამებს, აგროვებენ მონაცემებს და აკვირდებიან საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღწეულ პროგრესს. შესაძლოა, საერთაშორისო თანამშრომლობა უფრო შორსაც წავიდეს და რეგიონული ინტეგრაციის სახე მიიღოს. პროცესის შინაარსს შესანიშნავად გადმოსცემს შემდეგი განმარტება: „რამდენიმე განსხვავებული ეროვნული მოცემულობის პოლიტიკური აქტორი რწმუნდება მათი ერთგულების, მოლოდინებისა და პოლიტიკური საქმიანობის ახალი ცენტრისკენ გადატანის აუცილებლობაში; ამ ცენტრის ინსტიტუციებს აქვთ ან ითხოვენ იურისდიქციას წინარეარსებულ ეროვნულ სახელმწიფოებზე“. ასეთი რამ მაშინ ხდება, როცა

სახელმწიფოთა ჯგუფები რეგიონული ინტეგრაციის ასოციაციას ქმნიან,¹ რომლის მიზანიც კოლექტიური ქმედების ხელშეწყობა, საერთო წესების შემუშავება ან საერთო ინტერესების შექმნაა (ეკონომიკური თანამშრომლობა). რეგიონული ინტეგრაცია ისეთი ინსტიტუციების შექმნას გულისხმობს, რომლებსაც ახალი წესების დადგენისა და ახალი პოლიტიკის შექმნის უფლებამოსილება (ევროკავშირის ტერმინოლოგიით: „კომპეტენცია“) აქვთ იმ სფეროებში, რომლებშიც თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ მისი წევრები. ეს ინსტიტუციები ისეა შექმნილი, რომ წევრი სახელმწიფოების მთავრობებს ამ წესებისა და პოლიტიკური მიმართულებების მიღებასა და აღსრულებაში საკვანძო როლის შესრულება შეუძლიათ.

რა წარმოდგენაც არ უნდა გვქონდეს ევროკავშირზე და როგორც უნდა გვესმოდეს მისი არსი, დღევანდელი მსოფლიო წარმოდგენელია ევროკავშირის გარეშე.

9.2 ევროკავშირის დაფუძნება და მისი მთავარი მიზანი

ევროკავშირის (European Union) საფუძველს წარმოადგენს ევროპის გაერთიანება (European Community), მისი არსებობა იწყება 1957 წელს, გაერთიანა რა სამი ორგანიზაცია: ეეგ (ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, რომელიც რომის ხელშეკრულების საფუძველზე შეიქმნა 1957 წელს), ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება (1951) და ატომური ენერჯის ევროპული გაერთიანება (1957). II მსოფლიო ომის შემდეგ, ევროპის სახელმწიფოებმა მომავალში მშვიდობიანი თანაარსებობის გარანტიებისათვის გზებისა და საშუალებების ძიებისას, 1951 წელს საფუძველი ჩაუყარეს ევროკავშირს. იგი ექვსი ქვეყნის – ბელგია, გერმანია, იტალია, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, ნიდერლანდები – გაერთიანებით დაიწყო და დღეისათვის უკვე ოცდაშვიდ წევრ სახელმწიფოს ითვლის (ბრექსიტის შედეგად გამოაკლდა დიდი ბრიტანეთი). ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები ქმნიან პარტნიორულ გაერთიანებას და მათი მიზანია ხელი შეუწყონ დემოკრატიის და მშვიდობის განვითარებას, მოქალაქეთა კეთილდღეობასა და დოვლათის სამართლიან განაწილებას. ევროკავშირი სათავეს იღებს რამდენიმე ხელშეკრულებიდან, რომელთა უმთავრესი მიზანია ომისშემდგომ ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობის დაცვა და ეკონომიკური ინტეგრაციის მეშვეობით წევრი ქვეყნების ერთობლივი განვითარება.

ამგვარად, „ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების“ შექმნით მივიღეთ ის, რასაც დღევანდელი ევროპული კავშირი ჰქვია, ეროვნული ინტერესები კოლექტიურმა ევროპულმა ინტერესებმა გადაფარა და დღევანდელი ევროკავშირი შექმნა. გლობალურ სცენაზე ევროკავშირი მსოფლიოს უმდიდრესი ბაზარია, მსოფლიოს უდიდესი სავაჭრო ძალაა, კომპანიათა შერწყმისა და შესყიდვების უმსხვილესი ბაზარია, მსოფლიოს პირდაპირი ინვესტიციების უდიდესი წყაროცაა და სამიზნეც. იგი განსაკუთრებულ როლს ასრულებს

¹ ტერმინ რეგიონულის გამოყენებისას იგი არ უნდა ავურიოთ სახელმწიფოს ფარგლებში თემთა შორის თანამშრომლობაში

საერთაშორისო ურთიერთობებში; როლს, რომლის მსგავსიც ისტორიაში ჯერ არც ერთ მნიშვნელოვან აქტორს არ შეუსრულებია, რადგან იგი მხოლოდ მშვიდობიან და სამშვიდობო საშუალებებს იყენებს და არა სამხედრო ძალას.

დღეს ევროპულ სახელმწიფოებს იზოლირებულად აღარ განიხილავენ. მათ, როგორც პარტნიორებს, ევროკავშირი აერთიანებთ. ევროპის მომავალი წარმოდგენელია ძლიერი პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობის გარეშე. მოკლედ რომ ვთქვათ, ევროპელებმაც და არაევროპელებმაც უკეთ უნდა იცოდნენ, როგორ მუშაობს ევროკავშირი და რას ნიშნავს მისი არსებობა.

9.3 თვალსაზრისები ევროკავშირის რაობის შესახებ

ევროკავშირის შესახებ მსჯელობისას მნიშვნელოვანია, როგორ შევხედავთ სახელმწიფოების ცვალებად როლს. ერთ დროს ევროპის პოლიტიკური სცენის დომინანტი აქტორები – სახელმწიფოები შეიცვალა. ამ ცვლილების მიზეზი კი მათ შორის თანამშრომლობის საჭიროება გახდა, რაც, თავის მხრივ, პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოებების გავლენით მოხდა.

ზოგიერთების აზრით, დროთა განმავლობაში ევროკავშირმა ევროპული ზესახელმწიფოს მრავალი თვისება შეიძინა, ანუ ტრადიციულ სახელმწიფოზე მაღალი დონის მმართველობისა და ხელისუფლების სისტემად ჩამოყალიბდა. თუმცა ამ მოსაზრებას ბევრი მოწინააღმდეგეც ჰყავს.

ერთი ჩინური ანდაზის თანახმად, „განსჯა მაშინ იწყება, როცა ყველაფერს თავისი სახელი ერქმევა“. თუმცა ევროკავშირის შემთხვევაში ყველაფრისთვის სახელის დარქმევა მარტივი საქმე არ არის, რადგან იგი პოლიტიკისა და მთავრობათა საქმიანობის ტრადიციულ ჩარჩოებში არ ჯდება. როცა ფართომასშტაბიანი პოლიტიკური გაერთიანებების ორგანიზაციული მოწყობის დადგენას ვცდილობთ, შეგვიძლია, ამოსავალ წერტილად სახელმწიფოები ან საერთაშორისო ორგანიზაციები ავიღოთ. ევროკავშირს ორივე მათგანის დამახასიათებელი ნიშნები აქვს, მაგრამ ბოლომდე არც ერთი არ არის.

დღეს ევროკავშირის ხუთი განსხვავებული თვალსაზრისით განიხილავენ, თუმცა თითოეულ თვალსაზრისს საკუთარი პრობლემები აქვს. შეიძლება, იგი წარმოვიდგინოთ საერთაშორისო ორგანიზაციად, რეგიონული ინტეგრაციის ასოციაციად, უნიკალური მახასიათებლების მქონე უნიკალურ ორგანიზაციად, დამოუკიდებელ პოლიტიკურ სისტემად ან ჰიბრიდად.

პირველი თვალსაზრისის მომხრენი ევროკავშირს საერთაშორისო ორგანიზაციად მიიჩნევენ. არსებობის პირველ წლებში „ევროპის ეკონომიკური გაერთიანება“ ერთობ ტრადიციული საერთაშორისო ორგანიზაცია იყო, დღევანდელი ევროკავშირი კი გაცილებით მეტია. მას ჩვეულებრივ საერთაშორისო ორგანიზაციაზე გაცილებით მეტი სუპრაეროვნული

მახასიათებელი და დიდი ამბიციები აქვს, იგი გაცილებით მასშტაბურია და მეტ უფლებამოსილებას ფლობს, გაცილებით მეტი სახელმწიფოა მასში გაწევრიანებული.

მეორე თვალსაზრისის მიხედვით, ევროკავშირს რეგიონული ინტეგრაციის ასოციაციად წარმოადგენენ. რეგიონული ინტეგრაციის ასოციაციასაც თითქმის იგივე ძირითადი მახასიათებლები აქვს, რაც საერთაშორისო ორგანიზაციას, მაგრამ ინსტიტუციების მასშტაბების, პოლიტიკისა და კანონმდებლობის მხრივ, ევროკავშირი რეგიონული ინტეგრაციის სხვა მაგალითების ფარგლებს გასცდა და საკმაოდ შორსაც. ბევრი იმაზეც საუბრობს, რომ ამ უკანასკნელებმა, ალბათ, ევროკავშირისგან უნდა ისწავლონ მრავალი რამ. თუმცა სადავო საკითხად რჩება, რამდენად შორს წავიდა ევროკავშირი.

მესამე შესაძლებლობაც არსებობს – შეგვიძლია, ევროკავშირი უნიკალურ ფენომენად განვიხილოთ, თუმცა როგორც ჯონ მაკკორმიკი თვლის, არჩევანის გაკეთება ასეთ მიდგომაზე სიზარმაცის ტოლფასია, რადგან რთული იქნება ევროკავშირზე საუბარი თუ არ დავადგენთ, რას წარმოადგენს ის? ევროკავშირის ზოგიერთი მკვლევარი ევროკავშირსა და სხვა სახის პოლიტიკურ ორგანიზაციებს შორის არსებული მსგავსებისა და შედარების კრიტერიუმებს გამოყოფს, რაც გვაფიქრებინებს, რომ ევროკავშირი უნიკალური სულაც არ არის. იგი პოლიტიკური სტრუქტურებისა და ინსტიტუციების ერთგვარი რეკონფიგურაციაა.

მეოთხე თვალსაზრისით ევროკავშირი შეგვიძლია დამოუკიდებელ პოლიტიკურ სისტემად მივიჩნიოთ. ასეთ თვალსაზრისს მრავალი მომხრე გამოუჩნდა 1990-იანი წლების შემდეგ, ანუ მას შემდეგ, რაც ევროკავშირის გავლენა გაიზარდა და მისი ნორმებიც უფრო კომპლექსური გახდა. დღეს ევროკავშირს სწორედ ამ თვალსაზრისით განვიხილავენ. თუ ტერმინ სისტემაში კოორდინაციას, ორგანიზაციასა და წესრიგს ვიგულისხმებთ, ვერ უარვყოფთ, რომ ევროკავშირი ნამდვილად პოლიტიკური სისტემაა თავისი ინსტიტუციებით, კანონებით, ნორმებით, პასუხისმგებლობებით, ვალდებულებებითა და პოლიტიკით.

დასასრულს, შეგვიძლია, ზემოთ ჩამოთვლილი ოთხი შესაძლებლობა გავაერთიანოთ და ევროკავშირი სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციის ჰიბრიდად ან წარმოებულად განვიხილოთ.

9.4 ევროკავშირის თავისებურებანი - უმთავრესი შეთანხმებების არსი

1990-იანი წლებიდან ევროკავშირის ხასიათის თავისებურების ასახსნელად დამკვიდრდა ტერმინი მრავალდონიანი მმართველობა (MLG). ამ ტერმინით აღნიშნავენ სისტემას, რომელშიც ძალაუფლებას ინაწილებენ სუპრანეროვნული, ეროვნული, ქვეეროვნული და ადგილობრივი მთავრობები, რომელთა შორისაც ურთიერთობის მაღალი ხარისხი არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ვერ თანხმდებიან, ევროკავშირი მთავრობად უნდა განვიხილოთ თუ მის შემთხვევაში უფრო ფართო დატვირთვის მქონე ტერმინი მმართველობა უნდა გამოვიყენოთ.

მეტი მომხრე ჰყავს ტერმინის – მრავალდონიანი მართვის – გამოყენებას. მისით მოიხსენიებენ კონკრეტული ტიპის ურთიერთობას - როგორც ვერტიკალურს, ისე ჰორიზონტალურს ინსტიტუციათა სხვადასხვა დონეებს შორის.

ევროკავშირი მიიჩნევა როგორც ზესახელმწიფოებრივი გაერთიანება, ამას კი განაპირობებს მისი ინსტიტუციონალური სტრუქტურა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურები.

რატომ? აღნიშნულის საფუძველს ვკითხულობთ 1951 წლის დეკლარაციაში, სადაც ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული საზოგადოების დამფუძნებლები აცხადებდნენ, რომ ქმნიან "პირველ ზესახელმწიფო ინსტიტუტს" და ამით "ქმნიან ორგანიზებული ევროპის ჭეშმარიტ საფუძველს".

რას ნიშნავს ტერმინი ზესახელმწიფოებრივი - გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტის - მაგალითად, საერთაშორისო, ტრანსნაციონალური ან გლობალურის ფართო, განუსაზღვრელი მნიშვნელობით. მეორე გაგებით, ეს არის საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების მეთოდი - სამთავრობათშორისო მიდგომა.

ისტორიულად ეს კონცეფცია შემოიტანა და კონკრეტულად რეალური გახადა რობერტ შუმანმა, როცა საფრანგეთის მთავრობა დათანხმდა შუმანის დეკლარაციის პრინციპს და მიიღო ომისა და მშვიდობის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხებით შემოფარგლული შუმანის გეგმა. ასე დაიწყო ექვსი სახელმწიფოს ქმედება ომი გაეხადათ არათუ წარმოუდგენელი, არამედ მატერიალურად შეუძლებელიც. ისინი შეთანხმდნენ, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერესები, სახელდობრ, ქვანახშირისა და ფოლადის წარმოება დაექვემდებარებინათ საერთო უმაღლესი ორგანოსათვის, რომელიც თავის მხრივ ემორჩილებოდა დემოკრატიულ და სამართლებრივ ინსტიტუტებს. ისინი დაეთანხმნენ კანონის ევროპულ უზენაესობას და ახალ დემოკრატიულ პროცედურას.

წევრმა-სახელმწიფოებმა შეასრულეს და განავითარეს პარიზისა და რომის ხელშეკრულებების მუხლები ევროპის პარლამენტსა და სხვა ორგანოებში სრული დემოკრატიის შესახებ. შუმანმა ზესახელმწიფოებრივი კავშირები დაახასიათა, როგორც კაცობრიობის განვითარების ახალი ეტაპი, ის განსხვავდებოდა XIX-XX საუკუნის დესტრუქციული ნაციონალიზმისაგან, რომელიც იწყებოდა პატრიოტული სულისკვეთებით, თუმცა მთავრდებოდა ომებით.

რა განაპირობებს დღეს გაერთიანების ზესახელმწიფოებრივ ხასიათს? უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილების მიღების პროცედურა, როცა გადაწყვეტილების მიღება სცდება ეროვნული სახელმწიფოების დონეს. ევროკავშირის ზესახელმწიფოებრივ ელემენტებს შორის ასახელებენ:

1. ევროკავშირი წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც დამოუკიდებელია წევრი-სახელმწიფოებისაგან; როგორც ასეთს, მას შეუძლია დადოს საერთაშორისო შეთანხმებები მესამე მხარესთან;

2. ევროკავშირის ინსტიტუტები ღებულობენ აუცილებელ გადაწყვეტილებებს ევროკავშირის პოლიტიკის, ბიუჯეტის და სხვა საკითხებში.
3. ევროკავშირის ზოგიერთი ინსტიტუტი - კომისია, სასამართლო და პარლამენტი - მთლიანობაში წარმოადგენს ევროკავშირს.
4. ევროპის კავშირი გავლენას ახდენს წევრი სახელმწიფოების პოლიტიკაზე.

ბევრი მკვლევარი თვლის, რომ ევროპული ინტეგრაცია სწორედ რომ ზესახელმწიფოებრივ დონეზე მიმდინარეობს. ისეთი ინსტიტუტები, როგორც კომისია და პარლამენტი, როგორც იტყვიან, ემხრობიან ევროპულ თვალთახედვას: მათი საქმიანობის დღის წესრიგი განისაზღვრება არა ნაციონალური ინერესებით, არამედ იმით თუ რა იქნება უკეთესი მთლიანად ევროკავშირისათვის.

დაარსების დღიდან მოყოლებული ფორმდებოდა ახალი ხელშეკრულებები, რომლებიც ევროინტეგრაციის მასშტაბებსა და განფენილობას აფართოებდა. ამ მიმართებით კარგად ჩანს ევროკავშირის, როგორც ზესახელმწიფოებრივი და განსაკუთრებული საერთაშორისო სუბიექტის ხასიათი. აღსანიშნავია მასტრიხტის ხელშეკრულება. ბერლინის კედლის დანგრევამ, რასაც გერმანიის გაერთიანება მოჰყვა, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საბჭოთა კონტროლიდან გათავისუფლებამ, აგრეთვე, 1991 წლის დეკემბერში საბჭოთა კავშირის დაშლამ და მნიშვნელოვანმა დემოკრატიულმა პროცესებმა, ევროპის პოლიტიკური სტრუქტურის შეცვლა განაპირობა.

1992 წლის 7 თებერვალს მასტრიხტში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ევროკავშირის შესახებ, რომელიც ცნობილია როგორც მასტრიხტის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულების გაფორმებით, ევროგაერთიანებები გარდაიქმნა ევროკავშირად და ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ასპექტიც შეიძინა. მასტრიხტის ხელშეკრულებით, შესწორდა და ერთ პოლიტიკურ დოკუმენტში გაერთიანდა ყველა მანამდე არსებული - პარიზის (1950წ.) და რომის (1957წ.) ხელშეკრულებები და ერთიანი ევროპული აქტი (1986წ.).

მასტრიხტის ხელშეკრულებამ დაადგინა, რომ ევროკავშირი უნდა ეფუძნებოდეს სამ ძირითად სვეტს: პირველ სვეტში, რომელიც სწორედაც რომ ევროპის კავშირის ზესახელმწიფოებრივი ელემენტები ჩანს, გაერთიანდა ევროპის არსებული გაერთიანებები (ევროპის გაერთიანება, ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანება). მეორე სვეტში შევიდა საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკა, ხოლო მესამე სვეტში - თანამშრომლობა მართლმსაჯულებასა და შინაგან საქმეებში. მეორე და მესამე სვეტი ევროკავშირის სამთავრობათშორისო ხასიათზე მიგვითითებს.

პირველ სვეტში შემავალ საკითხებად განისაზღვრა: საბაჟო კავშირი, საერთო სოფლის მეურნეობის პოლიტიკა, ერთიანი ბაზარი, სავაჭრო პოლიტიკა. ამ სვეტს ამსტერდამის ხელშეკრულებით, შემდგომში სხვა საკითხებიც დაემატა;

მეორე სვეტი არეგულირებდა შემდეგ საკითხებს: თანამშრომლობა საერთო საგარეო პოლიტიკის შემუშავების საკითხებზე, სამშვიდობო მისიები, დახმარება არაწევრი ქვეყნებისათვის, ევროპის უსაფრთხოების, განიარაღებისა და თავდაცვის დაფინანსების საკითხი;

მესამე სვეტში შემავალი საკითხები იყო: წევრი ქვეყნების პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო სისხლის სამართლის საკითხებში, საპოლიციო თანამშრომლობა, რასიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ნარკომანიის, ტერორიზმის, ორგანიზებული დანაშაულის, ტრეფიკინგისა და ადამიანის უფლებების დარღვევის წინააღმდეგ ბრძოლა.

ხელშეკრულების თანახმად, პირველ სვეტში საკითხები გადაწყდებოდა ზეეროვნულ (ანუ ევროპულ) დონეზე, ხმათა უმრავლესობით, სადაც გადამწყვეტი როლი დაეკისრა ევროკომისიას და ევროპარლამენტს, საბჭოსთან ერთად. დანარჩენ ორ სვეტში წამყვანი როლი მიენიჭა საბჭოს და გადაწყვეტილებები მიიღებოდა ეროვნულ დონეზე, წევრი ქვეყნის ხელმძღვანელებისა და მინისტრების მიერ. აქ გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო იყო ყველა წევრი ქვეყნის თანხმობა. მეორე და მესამე სვეტის საკითხებში, ანუ საერთო საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის, ასევე მართლმსაჯულებისა და შინაგან სამქეებში, კომისია და პარლამენტი ვერ ჩაერეოდნენ.

ამის მიზეზი გახდა ის, რომ სახელმწიფოებს არ სურდათ, სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები - ქვეყნების უსაფრთხოება, საგარეო პოლიტიკა, საშიანაო საქმეები და იუსტიციის საქმეები მიენდოთ კომისიისა და პარლამენტისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ამ ორგანოების მოვალეობას წარმოადგენდა საერთო ევროპული ინტერესების მიხედვით მოქმედება და არა ეროვნული ინტერესების დაცვა, წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები ვერ შეძლებდნენ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად, მოეხდინათ ზეგავლენა გადაწყვეტილების მიღებაზე.

მაასტრიხტის ხელშეკრულების შედეგად, გაიზარდა ევროპარლამენტის ძალაუფლება, კერძოდ - თანაგადაწყვეტილების პროცედურის შემოღებით, ევროპარლამენტს მიენიჭა თანაბარი უფლება, საბჭოსთან ერთად მიეღო მონაწილეობა საკანონმდებლო პროცესის გარკვეულ სფეროებში. კომისიის მთლიანი შემადგენლობის დამტკიცებისთვის აუცილებელი გახდა ევროპარლამენტის თანხმობა. ევროპარლამენტთან შეიქმნა ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელსაც მიეცა უფლება, შეემოწმებინა ევროკავშირის სამართლის დარღვევის ფაქტები.

1997 წელს ამსტერდამში ხელმოწერილი ხელშეკრულება მოიცავს იმ საკითხებს, რომელზეც ვერ შეთანხმდნენ მაასტრიხტში. სამთავრობათაშორისო კონფერენცია, ძირითადად, მიზნად ისახავდა ისეთი ინსტიტუციური ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც რომელიც ამ

ხელშეკრულებაში გაითვალისწინეს, იყო მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის გაღრმავება. სავიზო რეჟიმები, სასაზღვრო კონტროლი, თავშესაფრის მიცემისა და იმიგრაციის პოლიტიკა, პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სამოქალაქო საკითხებში, ზოგადად ადამიანის უფლებათა და არაწევრი ქვეყნების უფლებათა დაცვა ევროპული გაერთიანების დამფუძნებელი ხელშეკრულების ფარგლებში მოექცა და ევროკავშირის კომპეტენციათა პირველ სვეტში გაერთიანდა. მართლმსაჯულებისა და შინაგან საქმეებში თანამშრომლობის სვეტში დარჩა პოლიციისა და სასამართლო სისტემების თანამშრომლობა სისხლის სამართლის საკითხებში. გაფართოვდა ევროპული გაერთიანების კომპეტენციები, საპოლიციო თანამშრომლობის გააქტიურების მიზნით - შეიქმნა ევროპული პოლიცია - ევროპოლი. მნიშვნელოვანი თანამდებობა, რომელიც ამსტერდამის ხელშეკრულებით შემოიღეს, არის - ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში, რომელიც, იმავდროულად, საბჭოს გენერალური მდივანიც იყო.

ლისაბონის ხელშეკრულებამ (სრული სახელწოდებაა „ლისაბონის ხელშეკრულება ევროკავშირის შესახებ ხელშეკრულებასა და ევროპული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“, 2007 წლის 13 დეკემბერს ხელი მოეწერა ლისაბონში და იგი ძალაში შევიდა 2009 წლის 1 დეკემბერს) დაარღვია სვეტების სისტემა. გაუქმდა მანამდე არსებული პირველი სვეტი, თუმცა მისი უფლებამოსილებები და ინსტიტუტები ზესახელმწიფოებრივი ხასიათის რჩებიან. ისინი გადაეცა ევროკავშირის ე.წ. პოსტლისაბონის სტრუქტურას ყოფილი მესამე სვეტის ელემენტებთან ერთად. ხელშეკრულებაში იმავდროულად შენარჩუნებულია სამთავრობათშორისო ხასიათის ყოფილი მეორე სვეტის ელემენტები. ეკონომიკურ და სხვა სფეროებში ევროკავშირი ზენაციონალურია, სხვა უმრავლეს სფეროებში კი, ისეთებში როგორცაა საგარეო პოლიტიკა, ევროკავშირი სამთავრობათშორისი ხასიათის სუბიექტია.

9.5 წყაროები

1. გ. ჭელიძე, ე. ქარდავა, ზ. ბრაგვაძე, ევროპული ასოციაციის პროცესი საქართველოში, კავკასიის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2020
2. ჯონ მაკკორმიკი, ევროკავშირის პოლიტიკა, თბილისი, 2016
3. Power in the EU: the supranational thesis - <https://www.futurelearn.com/info/courses/european-culture/0/steps/23521> (უკანასკნელად გადამოწმებულია 05.03.2021)
4. Supranational - <https://www.investopedia.com/terms/s/supranational.asp> (უკანასკნელად გადამოწმებულია 05.03.2021)

5. Renaud Dehousse, The New Supranationalism -
<https://ecpr.eu/Filestore/paperproposal/281383a5-0285-4417-a613-eed8cd5d36bd.pdf>
(უკანასკნელად გადამოწმებულია 05.03.2021)